

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ)

სოციალური ინვესტიციების
(ყოფილი სოციალური ინვესტიციების ფონდის)
პროექტის

სამოქმედო სახელმძღვანელო

თბილისი,
2006 წლის ნოემბერი

შენიშვნა

წინამდებარე სამოქმედო სახელმძღვანელო წარმოადგენს საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის სამოქმედო სახელმძღვანელოს გადამუშავებულ ვარიანტს, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 დეკემბრის №1027 ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი მიუერთდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და ეს უკანასკნელი არის საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის სამართალმემკვიდრე. შესაბამისად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა და დებულება განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 12 იანვრის №4 დადგენილებით.

საქართველოს მთავრობის ახალი დადგენილებით (№128, 30 ივნისი, 2006) სმგფ-ს დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში –ფონდი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის (თემების) ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას, აგრეთვე საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციას.“

სამოქმედო სახელმძღვანელოში აღწერილია საქართველოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სოციალური ინვესტიციების პროექტის მიზნები და ამოცანები, ზოგადი სტრუქტურა და სამოქმედო პროცედურები, მსოფლიო ბანკის კრედიტით ფინანსირებულ სსიფ II-ის პროექტის კომპონენტთან მიმართებაში. მას დანართის სახით თან ახლავს შესაბამისი სახელმძღვანელოები.

კონკრეტული პროცედურები გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ ფინანსირებული რაიონების პროექტებისთვის მოცემულია დანართში №7.

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ახალი ორგანული კანონით (№2304-რს, მიღების თარიღი - 16 დეკემბერი 2005 წელი, ძალაში შესვლის თარიღი – 19 ოქტომბერი 2006 წელი) განხორციელდა ცვლილებები. სამოქმედო სახელმძღვანელოში ტერმინი ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში იგულისხმება მუნიციპალიტეტის და ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოები.

სარჩევნი

აბრევიატურა	4
ნაწილი ა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) ამოცანები და სტრუქტურა	5
თავი 1: მგფ-ს ამოცანები	5
1.1. პოლიტიკური და სოციალური საფუძველი	5
1.2. მგფ-ს ამოცანა	6
1.3. მგფ-ს ინტერვენცია	6
თავი 2: მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა	7
2.1. მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა	7
ნაწილი ბ: მგფ-ს სამოქმედო მეთოდოლოგია	8
თავი 1: მიკროპროექტების ტიპოლოგია	8
1.1. სოციალური ინფრასტრუქტურა	8
1.2. ეკონომიკური ინფრასტრუქტურა	8
თავი 2: თემის განვითარების და მიკროპროექტის ციკლი	9
2.1. მიზნობრიობის მექანიზმი	11
2.2. თემის განვითარების გეგმა, მიკროპროექტების შემუშავება/იდენტიფიცირება და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური განვითარება	12
2.3. მიკროპროექტების მომზადება	14
2.4. მიკროპროექტის დამტკიცება	16
2.5. მიკროპროექტების განხორციელება	17
2.6. მონიტორინგი და შეფასება	26

დანართები:

- დანართი 1- თემის განვითარების სახელმძღვანელო
- დანართი 2- ფინანსური სახელმძღვანელო
- დანართი 3- შესყიდვების სახელმძღვანელო
- დანართი 4- სამუშაოთა ხარისხის სახელმძღვანელო
- დანართი 5- მართვის საინფორმაციო სისტემის სახელმძღვანელო
- დანართი 6- გარემოსდაცვითი ღონისძიებების სახელმძღვანელო
- დანართი 7- კონკრეტული პროცედურები გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული პროექტისთვის
- დანართი 8- ადმინისტრაციული სახელმძღვანელო

აბრევიატურა

ათმ-ადგილობრივი თვითმმართველობა, გამგეობა
თგკ-თემის განვითარების კომიტეტი
მგფ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
სილ-სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტი
სსიფ- საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ნაწილი ა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მფფ) ამოცანები და სტრუქტურა

თავი 1: მფფ-ის ამოცანები

1.1. პოლიტიკური და სოციალური საფუძველი

მომხმარებელი სიღარიბის, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუარესების, და უსაფრთხოების ფორმალური სისტემების არასაკმარისობის ფონზე, ბევრი ოჯახი შემოსავლების მკვეთრი დაცემის რისკისაღმი დაუცველი ხდება, ხოლო ამ რისკის შემცირებისათვის მათ არც რესურსები და არც მხარდაჭერის სისტემები აქვთ. საფრთხე ემუქრება ჯანმრთელობის და განათლების სფეროებში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობაში, რადგან, სისტემის ნაკლოვანებებისა და არაადეკვატური რესურსების გამო, ჯანდაცვასა და ხარისხიან განათლებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობა არასახარბიელოა, ბევრ სფეროში მომსახურება საერთოდ არ არსებობს, ან პერიოდული ხასიათი აქვს. ნაკლები წვდომა აქტივებზე, ან აქტივების შექმნის შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით შედარებით ღარიბი ოჯახებისათვის, რომლებიც შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობების დიდ ნაკლებობას განიცდიან.

მთავრობა მუშაობს სიღარიბის დაძლევის გრძელვადიან სტრატეგიაზე, რომლის მიზანია მოსახლეობაში კეთილდღეობის შემცირების ტენდენციისათვის საპირისპირო მიმართულების მიცემა და ეკონომიკური და არაეკონომიკური შოკებით გამოწვეული რისკებისაღმი ოჯახების დაუცველობის შემცირება. მთავრობის ამ სტრატეგიის ძირითადი ელემენტია ეკონომიკური მართვის დეცენტრალიზაცია ადგილობრივ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, და განვითარების ისეთი ტენდენციის ხელშეწყობა, სადაც წამყვანი ძალა საზოგადოებაა, თანაც ისე, რომ მოქალაქეთა ინიციატივის საფუძველზე, გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ადგილზე, და არა ცენტრის მიერ. ადგილობრივი თვითმმართველობასა და საზოგადოების მობილიზაციაზე აქცენტის გაკეთება მიზნად ისახავს მცირემასშტაბიანი და თანაც აქტუალური ინფრასტრუქტურების საჭიროებების დაკმაყოფილებას ადგილობრივ დონეზე და განსაკუთრებით ღარიბ რეგიონებში – იგულისხმება დაწყებითი სკოლებისა და ჯანდაცვის ორგანიზაციების რეაბილიტაცია, მცირე ჰიდროელექტროსადგურებით უზრუნველყოფა, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, მორწყვა და გზების რეაბილიტაცია.

მფფ-მ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს მთავრობის ამ ძალისხმევის განხორციელებაში, ხელი შეუწყოს დეცენტრალიზაციისა და საზოგადოების მეტი მონაწილეობის პრაქტიკის დამკვიდრებას, და სოფლის გამოცოცხლებას. მან ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის ეკონომიკური დაუცველობის შემცირებას, განსაკუთრებით დიდი ქალაქების გარეთ, და საერთო ამოცანების განხორციელებისათვის მობილიზაცია გაუკეთოს სახელმწიფო და კერძო სექტორების რესურსებსა და ინიციატივებს ადგილობრივ დონეზე.

- მფფ-მ ძირითად ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში (ეროზიის კონტროლი, სარწყავი სქემები, სოფლებამდე მისაღწევი გზები) უნდა შეამციროს მეტეოროლოგიური პირობებისაღმი დაუცველობა, ხელი შეუწყოს შემოსავლების სტაბილიზაციას და მცირე საზოგადოებების მიერ შემოსავლების გამომუშავებას. წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემების, ენერჯის გამომუშავებისა და განაწილების სფეროებში ჩადებული ინვესტიციები ხელს უნდა უწყობდეს ღარიბ მოსახლეობაში ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ძირითადი სოციალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროებში ჩადებულმა ინვესტიციებმა, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სისტემების რეაბილიტაციამ

და აღჭურვამ, ასევე ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანიზაციების რეაბილიტაციამ, უნდა გააფართოვოს მათი სამომავლო შემოსავლების შესაძლებლობები და შეამციროს თაობებზე სიღარიბის გადაცემა.

- დაუცველობა კიდევ უფრო უნდა შემცირდეს მას შემდეგ, რაც მგფ დაეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობას და სათემო საზოგადოებებს. ამის საშუალებით გაიზრდება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების შესაძლებლობა, გაძლიერდება თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის, გაუმჯობესდება პრობლემების გადაჭრა, რის შედეგადაც მიიღება გაუმჯობესებული მმართველობა და დემოკრატიულ საწყისებზე გადაწყვეტილებების მიღება. ეს თავის მხრე სახელმწიფო და კერძო სექტორის რესურსების უკეთ მობილიზაციას გამოიწვევს ადგილობრივ დონეზე, და გამოიკვეთება ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთაც საზოგადოების დიდ მხარდაჭერა აქვს. საბოლოო ანგარიშით, მიიღება უფრო მოქნილი საზოგადოება, რომელიც ნაკლებად დაუცველია რისკისაღმ.

1.2. მგფ-ს ამოცანა

მგფ-ის სოციალური ინვესტიციების პროექტის ამოცანაა ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ღარიბი თემის¹ მეტი მონაწილეობის ხელშეწყობა და დამკვიდრება, თანაც ისე, რომ მათი უფლებამოსილება და ადგილობრივ დონეზე დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა გაიზარდოს. მგფ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და სისტემატურ ხასიათს აძლევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის ცხოვრების დონის გაუმჯობესების საკითხებზე თანამშრომლობის ხელშეწყობას. იგი მხარს უჭერს საზოგადოების განვითარების იმგვარად დაგეგმვას, რომ მასში თანაბარი მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა და მოსახლეობამ. ფონდი მხარს უჭერს ამ პროცესის შედეგად შემუშავებულ ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი დონის მიკროპროექტებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სიმძლავრეთა შექმნას მართვისა და ადმინისტრაციული ძირითადი ფუნქციების განხორციელებაში; იგულისხმება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის მარეგულირებელი კანონების გამოყენება, ბიუჯეტის შედგენა და აღრიცხვა და აქტივების მართვა.

1.3. მგფ-ს ინტერვენცია

მგფ თავისი ამოცანების მიღწევის მიზნით დააფინანსებს შემდეგი სახის საქმიანობას:

1. თემის მიერ შესასრულებელ მიკროპროექტებს და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სწავლებას;
2. მიკროპროექტებთან დაკავშირებულ სწავლებას:
 - ა. თემის განვითარების დაგეგმვა;
 - ბ. პროექტის შერჩევა და ფორმულირება;
 - გ. პროექტის ხარჯთაღრიცხვა და აღრიცხვა;
 - დ. სატენდერო პროცედურები;
 - ე. თემების მობილიზაცია სამშენებლო და შემდგომი მოვლა-პატრონობის პროცესში, მათ შორის თემის წვლილის მობილიზაცია;

¹ თემის ქვეშ იგულისხმება გეოგრაფიული ერთეული, როგორცაა სამეზობლო და სოფელი, ან ხალხის ჯგუფი, რომელსაც აქვთ საერთო ინტერესები, მაგალითად წყლის მომხმარებელთა ასოციაცია, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია და ა.შ. მგფ-ის შემთხვევაში ასეთი თემი დაკავშირებული უნდა იყოს მიკროპროექტთან – სადაც ის მდებარეობს, რომელშიც იქნება აღნიშნული მიკროპროექტის მომხმარებელი და ვინც იქნება პასუხისმგებელი მის მოვლა-პატრონობაზე.

- ვ. მონაწილეობითი განვითარების დაგეგმვა, მათ შორის თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებსა და თემებს შორის;
 - ზ. ხარისხის კონტროლი;
 - თ. პროექტის ზეგავლენის მონიტორინგი და შეფასება.
3. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის/ადვოკატირების უნარ-ჩვევები თემის დონეზე;
 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან დაკავშირებული სწავლება:
 - ა. მონაწილეობითი ადმინისტრირება (I) მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესისთვის და (II) ინფორმაციის გავრცელების მიზნით (თემის კრებების, სახალხო შეხვედრების, რეფერენდუმების, გამოკვლევების და ა.შ. საშუალებით)
 - ბ. კანონმდებლობა
 - გ. ადგილობრივი თვითმმართველობის მართვა და ადმინისტრირება (მაგ: ბიუჯეტი და ბუღალტერია, აქტივების მართვა)
 5. სხვა საქმიანობები, რომელიც დაეხმარება ადგილობრივი თემის და თვითმმართველობის განვითარებას.

აღნიშნული საქმიანობა მგფ-ს შეუძლია განახორციელოს საკუთარი თანამშრომლების მეშვეობით და/ან დაიქირაოს მესამე მხარე. კონტრაქტის პირობები ტექნიკური დავალების სახით თან არის დართული (დანართი №1).

თავი 2: მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

2.1. მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

მგფ-ის მმართველობითი ორგანოებია:

- ა. მგფ-ის საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა დადგენილებით;
- ბ. მგფ-ის მართვას აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მგფ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა:

- ა. აღმასრულებელი დირექტორი;
- ბ. შიდა აუდიტის სამმართველო;
- გ. ადმინისტრაციული დეპარტამენტი (შესყიდვების სამმართველო; ფინანსური სამმართველო; მართვის საინფორმაციო სისტემის სამმართველო; უზრუნველყოფის ჯგუფი);
- დ. ინვესტიციების და სესხების დეპარტამენტი (ტექნიკური სამმართველო; პროექტის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო);
- ე. სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტი* (სიდ) (ტექნიკური სამმართველო; პროექტის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო);
- ვ. ირიგაციის დეპარტამენტი (სამელიორაციო ასოციაციები; ტექნიკური სამმართველო; პროექტის მართვისა და მონიტორინგის სამმართველო);
- ზ. მელიორაციის დეპარტამენტი;

სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტი (სიდ) თითო რეგიონალურ განყოფილებას ჰყავს თემის განვითარების/მიკრო-პროექტების განვითარების სამი პასუხისმგებელი ჯგუფი; ყველა რეგიონალურ განყოფილებას ხელმძღვანელობს რეგიონალური მენეჯერი, რომელიც თავისი სპეციალობის შესაბამისად პასუხისმგებელია ყველა რეგიონალური განყოფილების შესყიდვების, საინჟინრო და თემის განვითარების საკითხებზე და ხარისხის კონტროლზე.

მგფ-ს საქმიანობა მოიცავს მთელს საქართველოს, მათ შორის ქალაქებს, რაიონებს, რაიონულ ცენტრებს, სოფლებს, პოსტკონფლიქტურ ზონებს. ქვემოთ ჩამოთვლილია რაიონები, რომლებიც შედიან თითო რეგიონალურ განყოფილებაში:

- რეგიონი ა: სამხრეთ საქართველოს რეგიონები – KfW-ს მიერ დაფინანსებული 6 რაიონი (ბორჯომი, ხარაგაული, ხაშური, ბაღდათი, ადიგენი და ახალციხე); დამატებით 3 რაიონი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ახალქალაქი, ნინოწმინდა და ასპინძა), რომელსაც აფინანსებს მსოფლიო ბანკი
- რეგიონი ბ: დასავლეთ საქართველოს რეგიონები – აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, იმერეთი (ბაღდათისა და ხარაგაულის რაიონების გამოკლებით, ვინაიდან იგი ფინანსდება KfW-ს მიერ) და კოლორის ხეობა გურლიფშის რეგიონი (პოსტკონფლიქტური ზონა)
- რეგიონი გ: აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონები, მათ შორის თბილისი, შიდა ქართლი (ხაშურის რაიონის გამოკლებით, ვინაიდან იგი ფინანსდება KfW-ს მიერ), ცხინვალი (პოსტკონფლიქტური ზონა), მცხეთა მთიანეთი, ქვემო ქართლი და კახეთი.

მგფ-ს სოციალური ინვესტიციების მიკროპროექტების რიცხვის შემცირების, მათი მაღალეფექტურობისთვის და კონსოლიდაციის მიზნით ხორციელდება ზონების გაერთიანებით.

მგფ-ს ორგანიზაციული და სხვადასხვა განყოფილებების ფუნქციები (უფლება-მოსილებები) დეტალურად აღწერილია ადმინისტრაციულ სახელმძღვანელოში. *განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის და სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად მოხდა ტერმინოლოგიის ცვლილება: რეგიონალური მენეჯერი შეიცვალა სამმართველოს უფროსით; პასუხისმგებელი ჯგუფიდან ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელია მგფ სიდ ტექნიკური ზედამხედველი; პასუხისმგებელი ჯგუფიდან სოციალურ-ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელია მგფ სიდ მიკროპროექტების სოციალურ-ტექნიკური მონიტორინგის სპეციალისტი; უფროსი სოციოლოგი შეიცვალა მგფ სიდ მიკროპროექტების სოციალურ-ტექნიკური მონიტორინგის კოორდინატორით; შესყიდვების უფროსი სპეციალისტი შეიცვალა შესყიდვების მთავარი სპეციალისტით.

ნაწილი ბ: მგფ-ს სამოქმედო მეთოდოლოგია

მიკრო-პროექტში უნდა იყოს განსაზღვრული მიკრო-პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ელემენტი, როგორცაა: პროექტირება, ადგილმდებარეობის მომზადება, სამუშაოები, საჭირო მასალები/საქონელი, ადგილმდებარეობის ზედამხედველობა. ეს ელემენტები აღწერილია ადგილობრივი თვითმმართველობის, თემის განვითარების კომიტეტისა და მგფ-ს მიერ მიკრო-პროექტების განხორციელებაზე დადებულ ჩარჩო ხელშეკრულებაში.

თავი 1: მიკროპროექტების ტიპოლოგია:

1.1. სოციალური ინფრასტრუქტურა:

- ა. ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების რეაბილიტაცია;
- ბ. სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო და სპეციალიზირებული (ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის) სკოლების რეაბილიტაცია, მათ შორის ინვენტარით და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
- გ. სოციალური სამუშაოს და მზრუნველობითი ცენტრების დაარსება, თემებზე დაფუძნებული ცენტრების დაარსება და რეაბილიტაცია მაწანწალა ბავშვთა განსათავსებლად, მოხუცთა და უსახლკარო ბავშვთა ცენტრებისა და სხვა მსგავს დაწესებულებათა რეაბილიტაცია;
- დ. სოფლის თემის ცენტრების რეაბილიტაცია.

1.2. ეკონომიკური ინფრასტრუქტურა:

- ა. სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და მშენებლობა: მაგისტრალები, გამანაწილებელი ქსელები, სათავე ნაგებობები და სატუმბო სადგურები;
- ბ. ადგილობრივი სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია;
- გ. სოფლისა და მისი მიმდებარე გზების, მოწყვეტილ სოფლებთან და სახნავ მიწებთან მისასვლელი გზების (მათ შორის ხიდების, დრენაჟის, წყალამრიდების, დამბების და ა.შ.) რეაბილიტაცია;
- დ. ენერგო-გამომუშავებელი მიკროპროექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა მცირე და იზოლირებული თემებისათვის (მიკრო-ჰიდროელექტრო სადგურები, რომელიც დაფუძნებული იქნება სარწყავ არხებსა და წყალმომარაგების მილსადენებზე, ბიო-ენერგო სადგურები, გაზის მომარაგება, მზის ენერჯია და განაწილება);
- ე. სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზების, სატელევიზიო ანძების რეაბილიტაცია იზოლირებული სოფლებისათვის;
- ვ. საკანალიზაციო სისტემებისა და წყლის სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია და გაფართოვება;
- ზ. მყარი და თხევადი ნარჩენების შეგროვება და გატანა;
- თ. მიკრო-დამბების რეაბილიტაცია;
- ი. დაკნინებული სოფლებისა და ქალაქების ეკოლოგიის გაუმჯობესება ხეების დარგვითა და გარემოს დასუფთავებით;
- კ. ეროზიის მაკონტროლებელი სამუშაოები (ხეების დარგვა, ტერასების მოწყობა, სადრენაჟო არხების მოწყობა) არაპრივატიზებულ მიწებზე.

თავი 2: თემის განვითარების და მიკროპროექტის ციკლი

მოკლე მიმოხილვა: თემის განვითარების და მიკროპროექტის ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- ა. გამჭვირვალე პროცესი, რომელიც მიზანმიმართული იქნება სათანადო თვითმმართველობის ორგანოებისა და თემებისადმი
- ბ. თემების განვითარების პროცესი იწყება შემდეგი საქმიანობით:
 - I. თემის განვითარების გეგმების (საინვესტიციო პრიორიტეტების) შემუშავება სათანადო თემის ან იმ თემების მიერ, რომლებიც შედიან თვითმმართველობის ერთეულებში;
 - II. თემის განვითარების კომიტეტის (თგკ) ჩამოყალიბება ყოველ ადგილობრივ თვითმმართველობაში;
 - III. სასწავლო პროცესის დაწყება, რომელიც გრძელდება მთელი მიკროპროექტის ციკლის განმავლობაში:
 1. თემის განვითარების კომიტეტის (თგკ) სწავლება მიკროპროექტის ციკლის მართვაში;
 2. თემის სწავლება საზოგადოებრივი ინტერესთა დაცვის/ადვოკატირების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით; და
 3. ადგილობრივი თვითმმართველობის სწავლება მონაწილეობრივი პროცესის მართვაში და მენეჯმენტისა და ადმინისტრაციულ უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.
- გ. გეგმების კონსოლიდაცია და მიკროპროექტების წარდგენა, როდესაც არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობა:
 - I. თემის განვითარების გეგმების კონსოლიდაცია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების გეგმებთან თემებისა და თვითმმართველობის

ინსტიტუტების ერთობლივი მონაწილეობის გზით; გეგმის მეშვეობით ხდება საინვესტიციო პრიორიტეტების რანჟირება;

- II. თემი და ადგილობრივი თვითმმართველობა ერთობლივად ირჩევს მიკროპროექტის წინადადებას (ან წინადადებებს) მგფ-ში დაფინანსებისათვის წარსადგენად;
- დ. როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა არ არსებობს თემები წარმოადგენენ მიკროპროექტების წინადადებებს ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ე. მგფ განახორციელებს მიკროპროექტების წინადადებების შეფასებას ოფისში, რის შედეგადაც გადაწყვეტილებას იღებს სავსელე შეფასების გაგრძელების თაობაზე;
- ვ. მგფ განახორციელებს შეფასებას ველზე;
- ზ. შემდგომ, მიკროპროექტის ციკლით განხორციელდება ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი საქმიანობა:
- I. მიკროპროექტების წინადადების საბოლოო შეთანხმება თემის განვითარების კომიტეტთან, მათ შორის ფინანსური მოთხოვნები და შესყიდვების პროცედურები; სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება; ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების მოწვევა; კონტრაქტორის შერჩევა განხორციელებისათვის; და სახელმძღვანელო საქმიანობების ორგანიზება;
- II. ტენდერის შედეგად საპროექტო კომპანიის შერჩევა, დეტალური პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მომზადება; ფინანსური გარანტია; სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება; ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების მოწვევა; კონტრაქტორის შერჩევა განხორციელებისათვის; და ხელმძღვანელობის გაწევა საპროექტო კომპანიის მიერ;
- თ. მიკროპროექტის დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
დანართში (№1) მოცემულია ცხრილის სახით თემის განვითარებისთვის საქმიანობის და მიკროპროექტის ციკლის საფეხურები.
კონკრეტული პროცედურები KfW-ს კრედიტით ფინანსირებული რაიონების პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მგფ-ის სამოქმედო სახელმძღვანელოს დანართში №7 და თან ერთვის სამოქმედო სახელმძღვანელოს.
"KfW-ს ზონასთან" მიმართებაში არსებული ძირითადი პროცედურული განსხვავებანი დაკავშირებულია შემდეგთან:
ორ საფეხუროვანი მიზნობრივი მექანიზმები:
- თანხების განაწილება რაიონებში შემუშავებულია KfW-ს საერთაშორისო კონსულტანტის მიერ და დამტკიცებულია მგფ-ის სამეთვალყურეო საბჭოსა და KfW-ს მიერ. რაიონებზე თანხების განაწილების მექანიზმი დაფუძნებულია ოთხ შემდეგ კრიტერიუმზე: მოსახლეობა, ბიუჯეტი თითო ადამიანთან მიმართებაში, სიღარიბის რისკი და რაიონის ტერიტორია ეროვნულ პარკში.
- ყველა ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია თემის განვითარების კომპონენტზე. მიკრო პროექტების შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე.
მგფ-ის მიკრო პროექტის ადგილობრივი პარტნიორი (თემი) წარმოდგენილია ათმ-ს (ადგილობრივი თვითმმართველობა, გამგეობა) და ათმ/ტექნიკური კომიტეტის, ე.წ. საკრებულოს განვითარების კომიტეტის სახით, რომლის არჩევა ხდება უშუალოდ საკრებულოს თემის საერთო კრების მიერ. ყველა სახის ოფიციალური ხელშეკრულების, ბრძანებისა და კონტრაქტის გაფორმება ხდება ათმ-ს მიერ.
თემის განვითარების კომპონენტი ხორციელდება კონტრაქტის პარტნიორების (საერთაშორისო არა სამთავრობო ორგანიზაციები) მხარდაჭერით და მოიცავს სამ ძირითად ფაზას:
ფაზა 1: თემის მობილიზაცია, საკრებულოს განვითარების გეგმის მომზადება;
ფაზა 2: მგფ-ის მიკრო პროექტების ციკლთან დაკავშირებული სწავლება;

ფაზა 3: სწავლება ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით.

"KfW-ს ზონასთან" თემის წვლილი: თემის წვლილი შეადგენს მიკრო პროექტის უშუალო ღირებულების 10%-ს, რომლის მინიმუმ 5%-ის უზრუნველყოფა შესაძლებელია ფულადი, 5%-ის კი არა ფულადი სახით. ფინანსთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული ვალდებულების შესაბამისად, 5% - ფულადი წვლილი უზრუნველყოფილი იქნება ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით ათმ-ს ანგარიშზე გადარიცხვის განხორციელებით.

მიკრო პროექტების მაქსიმალური ღირებულება და დამტკიცება:

- სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი: KfW-სთან შეთანხმებული მაქსიმალური ღირებულების სახით - 75,000 ა.შ.შ. დოლარი და 125,000 ა.შ.შ. დოლარი, მაქსიმალური ღირებულების სახით;
- ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი: KfW-სთან შეთანხმებული მაქსიმალური ღირებულების სახით - 150,000 ა.შ.შ. დოლარი და 200,000 ა.შ.შ. დოლარი, მაქსიმალური ღირებულების სახით.
- მოკლე ვადიანი მნიშვნელოვანი მიკრო პროექტების განხორციელება შესაძლებელია პროექტის 30,000 ა.შ.შ. დოლარზე ნაკლები ღირებულების შემთხვევაში.

მიკრო პროექტის განხორციელებისას საერთაშორისო კონსულტანტის დანიშნის პროცედურებთან დაკავშირებული კონკრეტული დებულებები ასახულია დანართში 7 (ორმხრივი ხელმოწერა და დადასტურება, მონიტორინგი, შეფასება და მოხსენების განხორციელება).

2.1. მიზნობრიობის მექანიზმი

მეფ საქმიანობს მთელს საქართველოში, სადაც პრიორიტეტს ანიჭებს უღარიბეს თემებს ქალაქების გარეუბნებში, დაბებსა და სოფლებში.

მეფ-ის გრანტის მიზნობრივი განაწილება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების საჭიროებების გამჭვირვალე შეფასების საფუძველზე.

რაიონულ დონეზე ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული ფასდება ძირითადი ინფორმატორების მიერ. ძირითადი ინფორმატორები არიან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები და მოიცავს გამგებლებს, რაიონის ადგილობრივ მმართველობას, მესამე სექტორის წარმომადგენლებს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფესიულ ჯგუფებს (მასწავლებლებს, ექიმებს, და ა.შ.) და ასევე, სხვა მნიშვნელოვან რაიონულ სოციალურ ჯგუფებს. ძირითადი ინფორმატორები შეაგებენ გამზადებულ კითხვარს, რომელიც ეხება მათი ადგილობრივ თვითმმართველობის და თემის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს. პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ მოხდება მიღებული შედეგების შედარება/გადამოწმება არსებულ მონაცემებთან, და ადგილობრივი თვითმმართველობის რანჟირება ხდება ადგილზე რაიონის ადგილობრივი მმართველობის მიერ. მეფ-ის პასუხისმგებელი ჯგუფის ნაცვლად აღნიშნულ პროცესში დახმარება შეიძლება გაუწიოს დაქირავებულმა მესამე მხარემ. მსოფლიო ბანკის ზონაში ადგილობრივი განვითარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად აირჩევა სამი ან მეტი უღარიბესი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული. შერჩევა მოხდება რანჟირების საფუძველზე.

გარდა აღნიშნული პროცესისა, პასუხისმგებელი ჯგუფი ჩაუტარებს შემდეგ პრეზენტაციებს:

- მეფ-ის მიზნებისა (რომელიც მიზანმიმართულია ადგილობრივი თემის განვითარებაზე) და ადგილობრივი განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ;
- მეფ-ის პროგრამის თაობაზე, რომელიც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას.

შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები გამოიყენება შეფასების პროცესისთვის - ძირითადი ინფორმაციისთვის და თემის საჭიროებების შეფასებისთვის:

1. ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურებთან ხელმისაწვდომობა;
2. შემოსავლის დონე და ეკონომიკური საქმიანობა;
3. უმუშევრობის დონე;
4. მთავრობის და დონორების დახმარების ოდენობა;
5. ბუნებრივი რესურსების ნაკლებობა;
6. ადგილმდებარეობა – რაიონული ცენტრიდან დაშორება, ნიშნული ზღვის დონიდან (სიმაღლე); და
7. ხარისხობრივი ინდიკატორები, რომელიც ასახავს ორგანიზაციებში და თემებში მონაწილეობის დონეს.

KfW-ს კრედიტით ფინანსირებული 6 რაიონის პროექტებისთვის განსაზღვრული ორ საფეხუროვანი მიზნობრივი მექანიზმის კონკრეტული დებულებანი წარმოდგენილია "სასესხო და საპროექტო ხელშეკრულების დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულებაში, დანართი 2 (თანხების განაწილება რაიონებზე)" და მგფ-ის სამოქმედო სახელმძღვანელოს დანართში 7 (თავი 2.1.)

2.2. თემის განვითარების გეგმა, მიკროპროექტების შემუშავება/იდენტიფიცირება და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური განვითარება

მსოფლიო ბანკის კრედიტით ფინანსირებულ ტერიტორიაზე თემის განვითარების გეგმების, მიკროპროექტების შემუშავება და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური განვითარება იწყება შერჩევის პროცესის შემდეგ. ,

თემის განვითარების დაგეგმარება და მიკრო-პროექტის იდენტიფიცირება წარმოადგენს საკონსულტაციო პროცესს, რომელიც ხორციელდება პასუხისმგებელი ჯგუფის მეშვეობით:

პირველი ფაზა მიზნად ისახავს შემდეგი ეტაპების განხორციელებას: (i) მონაწილეებისათვის მგფ-ის საქმიანობის და თემის განვითარების პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (დაგეგმარება, მიკრო-პროექტის განვითარება, ადვოკატირება); (ii) პრობლემების იდენტიფიცირება ადგილობრივი თვითმმართველობის და თემის დონეზე, პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძიება და რესურსები; (iii) თემის განვითარების კომიტეტის ჩამოყალიბება (თგკ) ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

პირველ ფაზაში მონაწილეობის მიღება შეუძლია რაიონის წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის წარმომადგენლებს, თემის წევრებს და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მეორე ფაზის განხორციელების პროცესში, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლება და მათთან არსებული თემები ერთობლივად შეიმუშავენ ადგილობრივი თვითმმართველობის/თემის განვითარების გეგმას, პრიორიტეტების რანჟირების ჩათვლით. ამ ფაზის მსვლელობისას, პასუხისმგებელი ჯგუფი განხორციელებს სასწავლო პროგრამას თემის განვითარების დაგეგმარებაზე და პრიორიტეტების დასახვის თაობაზე. ფაზის განხორციელების შედეგად მოხდება პროექტის იდენტიფიცირება.

მესამე ფაზის მსვლელობისას, პასუხისმგებელი ჯგუფი განხორციელებს სასწავლო პროგრამას თემის განვითარების კომიტეტებს პროექტის მომზადებაზე, შესყიდვების მექანიზმზე და ამ თემებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. ამ ფაზის შედეგად მიიღება მგფ-ის წესდებასთან შესაბამისობაში მოყვანილი პროექტ-წინადადება.

აღნიშნული პროცესი სავარაუდოდ დაიკავებს არაუმეტეს ხუთ კვირას².

თემის განვითარების კომიტეტი ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს თემში ადგილობრივი განვითარების გეგმის შედგენის, მიკრო-პროექტის (ან მიკრო-პროექტების) შერჩევის და მიკრო-პროექტების დაფინანსებაზე

სსიფ-ის წინაშე მოთხოვნის წარდგენის და მიკრო-პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. თუკ ჩვეულებრივ უნდა შედგებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებული ყოველი თემის ორი წარმომადგენლისაგან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ერთი წარმომადგენლისაგან. კომიტეტის შემადგენლობაში სულ მცირე ორი წევრი ქალი უნდა შედიოდეს. თემებმა უნდა შეარჩიონ თავიანთი წარმომადგენლები თემის განვითარების კომიტეტისათვის. თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იქნას არჩეული თემის წარმომადგენლებიდან.

თუ მიკროპროექტის განხორციელებით დაინტერესებულია ადგილობრივი თვითმმართველობაში შემაკალი ყველა თემი, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებული თემის განვითარების კომიტეტი დარჩება საკვანძო ერთეულად მიკროპროექტის მართვის პროცესში. თუ მიკროპროექტის განხორციელებით დაინტერესებულია მხოლოდ რამოდენიმე თემი, რომელიმე კონკრეტული თემის განვითარების კომიტეტი აიღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული პროცესის მართვაზე. აღნიშნულ კომიტეტში შევლენ როგორც დაინტერესებულ თემთა, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ხოლო, როდესაც მხოლოდ ერთი თემი იქნება მიკროპროექტის პირდაპირი მომხმარებელი, მაშინ თემის განვითარების კომიტეტი უნდა დაკომპლექტდეს შერჩეული თემის წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან.

თემის განვითარება და ადვოკატირება გაგრძელდება პროექტის მომზადების და განხორციელების პერიოდში პარალელურად მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფასთან ერთად.

იმ ადგილობრივ თვითმმართველობაში, სადაც შედის მხოლოდ ერთი თემი, თემის განვითარების კომიტეტი უნდა ჩამოყალიბდეს და უნდა დაკომპლექტდეს თემის მიერ არჩეული წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან. აქაც, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე არჩეულ უნდა იქნას თემის წარმომადგენლებიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობა და თემი ერთობლივად წარუდგენს მფფ-ის პასუხისმგებელ ჯგუფს დასაფინანსებელ მიკროპროექტს. მიკროპროექტის წინადადების ფორმა და თანდართული საბუთები წარმოდგენილია დანართში №1. პასუხისმგებელი ჯგუფი გადაამოწმებს, რომ მიკროპროექტის წინადადება შედგენილია მფფ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი წინასწარი შერჩევის კრიტერიუმების გამოყენებით:

- მიკროპროექტი აღებულია კონსოლიდირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების გეგმიდან ან თემის განვითარების გეგმიდან; (იმ რაიონებში სადაც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული, ეს არ არის საჭირო);
- მიკროპროექტი შერჩეულია მონაწილეობითი პროცესის საფუძველზე, რაშიც მონაწილეობას იღებდა მთელი თემი;
- მიკროპროექტი აკმაყოფილებს სსიფ-ის ტიპოლოგიას;
- მიკროპროექტის საწყისი ხარჯთაღრიცხვა არ აღემატება 100,000 აშშ. დოლარის ექვივალენტს ლარებში – თუ იგი წარმოადგენს სოციალურ მიკროპროექტს; და 150,000 აშშ. დოლარის ექვივალენტს, თუ იგი წარმოადგენს ეკონომიკურ მიკროპროექტს; "KfW-ს ზონის" 6 რაიონში შემაკალი მიკრო პროექტის მაქსიმალური ღირებულება, თუ იგი წარმოადგენს სოციალურ მიკრო პროექტს, არის 75,000-125,000 აშშ. დოლარი, ეკონომიკური მიკრო პროექტის შემთხვევაში - 150,000-200,000 ა.შ.შ. დოლარი.
- თემის ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ვალდებულება თემის წვლილი მობილიზაციაზე, მიკროპროექტის მთლიანი ღირებულების სულ მცირე 8 პროცენტის ოდენობით ზემოთ აღნიშნული თემის წვლილი "KfW-ს ზონაში" განსაზღვრულია მიკრო პროექტის უშუალო ღირებულების 10%-ით (უზრუნველყოფილი მინიმუმ 5%-ით ფულადი და 5% - არაფულადი სახით).

- არსებობს სამოქმედო და დასრულებული მიკროპროექტის მოვლა-პატრონობის გეგმა;
- თემების ადვოკატირების სასწავლო პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის თემში;
- ინსტიტუციური განვითარების პროგრამა უნდა მიმდინარეობდეს (ან დაგეგმილი უნდა იყოს მისი განხორციელება) რაიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებისთვის.
- "KfW-ს ზონაში" თემის განვითარების კომპონენტი ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით და კონტრაქტის პარტნიორების მხარდაჭერით. მოკლე კონცეფცია ასახულია დანართში 7.

როდესაც დასრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი ჯგუფი წარუდგენს მიკროპროექტს სათანადო სამინისტროს და/ან რაიონის ხელმძღვანელობას თანხმობის მისაღებად, შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით. თუ სამინისტრო ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში არ გაუგზავნის თავის თანხმობას, მაშინ მიკროპროექტი ავტომატურად ჩაითვლება შეთანხმებულად.

თუ შემოთავაზებული მიკროპროექტი არ აკმაყოფილებს საწყის კრიტერიუმებს, მაშინ “უარყოფის წერილი”, ხელმოწერილი რეგიონალური განყოფილების მენეჯერის მიერ, გაეგზავნება თემის განვითარების კომიტეტს, სადაც აღწერილი იქნება წინადადების დაწინაურების მიზეზი. დაწინაურებული წინადადების სია შევა მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში.

თუ წინადადება აკმაყოფილებს წინასწარ კრიტერიუმებს, მაგრამ საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას, რეგიონალური განყოფილების მენეჯერი გაუგზავნის თემის განვითარების კომიტეტს “მოთხოვნას დამატებითი ინფორმაციის თაობაზე”. წერილი ხელმოწერილი იქნება რეგიონალური განყოფილების მენეჯერის მიერ.

თუ წინადადება აკმაყოფილებს წინასწარ კრიტერიუმებს, მაშინ პასუხისმგებელი ჯგუფი გააზავნის “წინადადების მიღების წერილს”, რომელიც ხელმოწერილი იქნება აღმასრულებელი დირექტორის მიერ. წერილში მითითებული იქნება პასუხისმგებელი ჯგუფის მივლინების თარიღი და ის მოსამზადებელი საქმიანობა, რომელიც წინასწარ უნდა იყოს მოგვარებული. სათანადო ინფორმაცია შეტანილი იქნება მართვის საინფორმაციო სისტემაში. ხოლო, ორიგინალი წინადადების ასლი შეინახება რეგიონალური განყოფილების არქივში.

საველე ვიზიტის დროს, პასუხისმგებელი ჯგუფი განიხილავს შემოთავაზებული მიკროპროექტის ოფისში ჩატარებულ წინასწარ შეფასებას, თემის განვითარების დაგეგმვისა და მიკროპროექტის შერჩევის პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური ჩამოყალიბების მიზნით, პასუხისმგებელი ჯგუფი (ან დაქირავებული კონტრაქტორი პასუხისმგებელ ჯგუფთან თანამშრომლობით) შეადგენს კონკრეტულ სასწავლო პროგრამას. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლები და ადგილობრივი რაიონის თვითმმართველობის ხელმძღვანელები. ანგარიშის წარდგენა და მონიტორინგის პროცესი ჩატარდება პასუხისმგებელი ჯგუფისა და კონტრაქტორის მიერ მიღებული შეთანხმების საფუძველზე იმ ობიექტებზე სადაც დაქირავებული კონტრაქტორი აწარმოებს თავის საქმიანობას.

"KfW-ს ზონასთან" მიმართებაში მიკრო პროექტის შეფასება წინასწარ დადასტურებული უნდა იყოს KfW-ს საერთაშორისო კონსულტანტის მიერ და KfW-ს თანხმობით. კონკრეტული პროცედურები ასახულია დანართში 7.

2.3 მიკროპროექტების მომზადება

მას შემდეგ რაც მიკროპროექტის წინადადება მიღებულ იქნება წინასწარი კრიტერიუმების საფუძველზე, პასუხისმგებელი ჯგუფი გაემგზავრება ობიექტის სანახავად.

საჭიროების შემთხვევაში, რეგიონალური მენეჯერი დაავალებს პასუხისმგებელ ჯგუფს დაიქირაოს სათანადო ტექნიკური კვალიფიკაციის მქონე კონსულტანტი, რათა პასუხისმგებელ ჯგუფთან ერთად მოინახულოს და დაათვალიეროს მიკროპროექტის ადგილი. კონსულტანტების სია უნდა ინახებოდეს სსიფ-ის სპეციალურ არქივში.

საველე ვიზიტის დროს პასუხისმგებელი ჯგუფი ჩაატარებს შემდეგ საქმიანობას:

1. შეაფასებს მიკროპროექტის წინადადებას შეფასების კრიტერიუმების/სახელმძღვანელოს გამოყენებით, რომელიც მითითებულია დანართში №4;
2. განსაზღვრავს წარმოადგენს თუ არა შემოთავაზებული მიკროპროექტი ყველაზე ეფექტურ საშუალებას თემის მიერ გამოვლენილ პრობლემის გადასაჭრელად;
3. საველე გამოკვლევის ჩატარების საფუძველზე გაუწევს რეკომენდაციებს წინადადების შეცვლის თაობაზე, საჭიროების შემთხვევაში;
4. განსაზღვრავს ჩარევის სხვა საშუალებებს, რომელიც საჭირო იქნება შემოთავაზებული პროექტის სრულყოფისთვის;
5. განსაზღვრავს თუ რა სახის დამატებითი სწავლება ესაჭიროება თემის განვითარების კომიტეტს მიკროპროექტის განხორციელების ციკლთან მიმართებაში, და ასევე დაადგენს თუ ვინ უნდა ჩაატაროს იგი.

პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ მიღებული დასკვნების საფუძველზე შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებით ერთი ან ორი საველე ვიზიტის ჩატარება საპროექტო ზონაში.

თუ მიკროპროექტი მარტივია, პასუხისმგებელი ჯგუფი მოამზადებს 'შეფასების ანგარიშს' დანართში №4 მითითებული ფორმატის შესაბამისად. ანგარიშში მითითებული იქნება მიკროპროექტის დახასიათება, მიკროპროექტის მოთხოვნის შეფასების შედეგები, დაფინანსების რეკომენდაცია, მიკროპროექტის განხორციელების კალენდარული გეგმა და ჩარჩო ხელშეკრულების წინასწარი ვერსია. მნიშვნელოვანი მიკრო პროექტების განხორციელება მცირე მიკრო პროექტებთან მიმართებაში შესაძლებელია 30,000 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტის ნაკლები ღირებულების პროექტებისთვის.

როდესაც მიკროპროექტს ესაჭიროება დამატებითი შეფასება, პასუხისმგებელი ჯგუფი მოამზადებს "შუალედურ შეფასების ანგარიშს", სადაც მითითებულ იქნება დასკვნები და რეკომენდაცია შეფასების დასრულებამდე შემდგომი საველე ვიზიტის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. შემდგომი შეფასება შეიძლება საჭირო გახდეს (I) დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად; ან (II) დეტალური პროექტის მოსამზადებლად, რთული მიკროპროექტის შემთხვევაში. დამატებითი შეფასების აუცილებლობას განსაზღვრავს რეგიონალური მენეჯერი.

როდესაც პასუხისმგებელი ჯგუფი დაიწუნებს შემოთავაზებულ წინადადებას, რეგიონალური მენეჯერის მიერ ხელმოწერილი 'უარყოფის წერილი' ეგზავნება თემის განვითარების კომიტეტს, სადაც მითითებულ იქნება პროექტის დაწუნების მიზეზები.

თუმცა, რეგიონალურმა მენეჯერმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მიკროპროექტი პირობითად მისაღებია, თუმცა საჭიროა მისი დამატებითი ტექნიკური შესწავლა. დამატებითი შესწავლის შემდეგ მიკროპროექტი შეიძლება მიღებულ იქნას შემდგომ ეტაპზე გადასაცემად ან იქნას დაწუნებული.

როდესაც საჭირო გახდება ობიექტის დეტალური პროექტის შედგენა, თემის განვითარების კომიტეტი მოამზადებს ტექნიკურ დავალებას საპროექტო ორგანიზაციებისთვის და ტენდერის საშუალებით შეარჩევს საპროექტო ორგანიზაციას პასუხისმგებელი ჯგუფის დახმარებით. ეს მოხდება ადგილობრივად. კონტრაქტს ხელს მოაწერს საპროექტო ორგანიზაცია, და თემის განვითარების კომიტეტი პასუხისმგებელი ჯგუფის რეკომენდაციით რეგიონალური მენეჯერისაგან თანხმობის მიღების შემდეგ. საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ სსიფ-ის მოთხოვნებს, დამატებულ იქნებიან მფ-ის მიერ შემუშავებულ მოკლე სიაში. მოკლე სიის განახლება მოხდება ყოველ 6 თვეში ერთხელ. როდესაც საპროექტო ორგანიზაციები მოამზადებენ დეტალურ პროექტს ისინი ასევე

პასუხისმგებელი იქნებიან მიკროპროექტების განხორციელების ტექნიკურ ზედამხედველობაზე (“ადგილობრივი ზედამხედველობა”).

დეტალური პროექტის საშუალებით დაანგარიშებულ იქნება მიკროპროექტის საბოლოო ხარჯთაღრიცხვა და განისაზღვრება თემის წველილის ოდენობა. აღნიშნული დოკუმენტის განხილვა მოხდება ადგილზე თემის განვითარების კომიტეტისა და პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ ერთობლივად. “შეფასების ანგარიშის” მომზადება ამით დასრულდება და გადაეცემა და აღმასრულებელი დირექტორს რეგიონალური მენეჯერის რეკომენდაციით.

ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ დეტალური პროექტის შემუშავების შემდეგ მიკროპროექტის განხორციელება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში (I) პროექტი შეიძლება გადაიხედოს ერთობლივად თემის განვითარების კომიტეტისა და პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ და განხილვის შედეგად შესაძლებელია შემოთავაზებულ იქნას ახლებური მიდგომა; ან (II) სხვა მიკროპროექტი იქნას შერჩეული ერთობლივად თემის და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ; აღნიშნულ შემთხვევაში მიკროპროექტის მომზადების პროცესი თავიდან დაიწყება.

თემის წვლილი. მიკროპროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 8 პროცენტი თემის წვლილი უნდა იქნას მობილიზებული მომხმარებელი თემის, თემების ან სხვა მესამე მხარის მიერ.

საერთაშორისო განვითარების სააგენტო გადაიხდის ჩარჩო ხელშეკრულების დასრულებული ვარიანტის თანახმად მიკროპროექტის მთლიანი ღირებულების 72%, მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობა/თემები შემოვლენ თავიანთი წვლილით, რომელიც შესაბამისად შეადგენს ღირებულების 20% და 8%. დეტალები KfW-ს პროცედურებთან მიმართებაში თემის წვლილთან დაკავშირებით მოცემულია დანართში 7.

ეს თანაფარდობა განსაზღვრულია მიკრო-პროექტის ღირებულების წინასწარი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე. თემის წვლილი შეიძლება წარმოდგენილ იქნას თანხით ან (აღჭურვილობა, მასალა, მუშახელი, ტრანსპორტი და სხვა). როდესაც თემი აპირებს წვლილის მობილიზებას ნატურით, პასუხისმგებელი ჯგუფი ვალდებულია შეაფასოს წვლილის ღირებულება მგფ-ის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით. თემის წვლილთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი, მათ შორის მობილიზაციის კალენდარული გეგმა, აღწერილ უნდა იქნას ჩარჩო ხელშეკრულებაში (იხილეთ დანართი 1).

KfW-ს კრედიტით ფინანსირებულ 6 რაიონში მინიმალურ თემის წვლილის წარმოადგენს მიკრო პროექტის ღირებულების 10%. თემის წვლილის მიღებული ფორმა არის მინიმუმ 5 %- ფულადი და 5% - არა ფულადი სახით. თემის წვლილად განსაზღვრული სამუშაოთა სპეციფიკაცია და მოცულობა წარმოდგენილია მიკრო პროექტის პროექტში და პროექტის განხორციელების გეგმასთან ერთად წარმოადგენს მგფ-სა და ადგილობრივი თვითმმართველობას შორის გაფორმებული პროექტის ჩარჩო ხელშეკრულების დანართს.

KfW-ს ზონის ექვს რაიონში რომელიც მოიცავს 88 ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს, ჩარჩო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს (საკრებულოს თავმჯდომარეს) შორის.

2.4 მიკროპროექტის დამტკიცება

მგფ-ის მიერ მიკროპროექტის დამტკიცება ხორციელდება შემდეგნაირად:

- თუ მიკროპროექტის ღირებულება უდრის ან ნაკლებია 50 000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ზე, გადაწყვეტილებას მისი განხორციელების შესახებ იღებს აღმასრულებელი დირექტორი რეგიონალურ მენეჯერსა და პასუხისმგებელ ჯგუფთან კონსულტაციის შედეგად;
- თუ მიკროპროექტის ღირებულება აღემატება 50 000 აშშ დოლარის ექვივალენტს, გადაწყვეტილებას მისი განხორციელების შესახებ იღებს მგფ-ის სამეთვალყურეო საბჭო

აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილ წინადადების საფუძველზე, რომელსაც მხარს უჭერს რეგიონალური მენეჯერი და პასუხისმგებელი ჯგუფი.

ქვემოთ მოყვანილია ის დამატებითი პროცედურები, რომელიც საჭიროა მიკროპროექტის დასამტკიცებლად:

- პირველი მიკროპროექტები, რომლებიც შემოთავაზებული იქნება თითოეული რეგიონალური პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ დასამტკიცებლად, უნდა გაეგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს და მსოფლიო ბანკს თანხმობის მისაღებად; და
- მგფ ვალდებულია: (ა) მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს და მსოფლიო ბანკს მიკროპროექტთან დაკავშირებული ჩარჩო ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები ან ინფორმაცია, რომელსაც ისინი მოითხოვენ, მანამ სანამ მგფ დაამტკიცებს: (1) სოციალურ მიკროპროექტს, რომლის სავარაუდო ღირებულება 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტის ტოლია ან აღემატება მას; (2) ეკონომიკურ მიკროპროექტს, რომლის ღირებულება 100,000 აშშ დოლარის ტოლია, ან აღემატება მას და (3) ყველა თანადაფინანსებულ მიკროპროექტს, მათი მოცულობების მიუხედავად.

KfW-ს კრედიტით ფინანსირებული მიკრო პროექტების შემთხვევაში, მგფ-მ უნდა მიაწოდოს KfW-ს ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ და თანხმობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით, სამოქმედო სახელმძღვანელოს დანართი 7-ის შესაბამისად.

მიკროპროექტის დამტკიცების შემდეგ აღმასრულებელი დირექტორი თემის განვითარების კომიტეტს უგზავნის 'თანხმობის წერილს'.

2.5. მიკროპროექტების განხორციელება

1. ჩარჩო ხელშეკრულება თემის განვითარების კომიტეტთან

ჩარჩო ხელშეკრულებას (იხილეთ დანართი №3) თემის განვითარების კომიტეტსა და მგფ-ის აღმასრულებელ დირექტორს შორის ხელი მოეწერება რეგიონალური მენეჯერის რეკომენდაციის შემდეგ მიკროპროექტის დამტკიცებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. პასუხისმგებელი ჯგუფი იურისტ კონსულტანტთან ერთად განიხილავს სათითაოდ ყველა ხელშეკრულების ცალკეულ პუნქტებს.

ჩარჩო ხელშეკრულება დარეგულირდება კონტრაქტების ხელმოწერის და ანგარიშფაქტურების (შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში) გადახდის შემდეგ. ჩარჩო ხელშეკრულება დასრულებული სახით მიიღება მიკრო-პროექტის წინასწარი მიღება ჩაბარების შემდეგ, და მასში შევა შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

- ა. მიკრო-პროექტის აღწერა;
- ბ. ყველა მონაწილე მხარეების მოვალეობების, ვალდებულებების და პასუხისმგებლობების აღწერა;
- გ. მიკროპროექტის ბიუჯეტი, რომელშიც შევა სამუშაოების კალენდარული გრაფიკი და ან ხარჯთაღრიცხვა;
- დ. მიკროპროექტების დაფინანსების წყაროები და თანხების განაწილება;
- ე. შესყიდვებისა და საკონტრაქტო პროცედურები;
- ვ. გადახდის გრაფიკი, პირობები და მეთოდი;
- ზ. მიკროპროექტის განხორციელების გრაფიკი;
- თ. მიკროპროექტისათვის საჭირო ნახაზები და ტექნიკური სპეციფიკაციები;
- ი. მიკროპროექტის მუშაობისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კ. ურთიერთხელშეკრულება ადგილობრივ თვითმმართველობასთან და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ მთავრობასთან (რაიონულ), რომელშიც ეს უკანასკნელი

ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ობიექტის ექსპლუატაცია მიკროპროექტის დასრულების შემდეგ;

ლ. თემის მიერ აღებული ვალდებულება, რომ ექსპლუატაცია გაუწიოს მიკროპროექტს მისი დასრულების შემდეგ;

მ. ვალდებულება თემის წვლილის შეტანის, წვლილის ტიპოლოგიის და გადახდის კალენდარული გრაფიკის შესახებ; და

ნ. თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის და წევრების სია.

ჩარჩო ხელშეკრულებას ადგილობრივ თვითმმართველობასთან (ათმ) ან თემის განვითარების კომიტეტთან (თგკ) ხელს აწერენ აღმასრულებელი დირექტორი მგფ-ის სახელით და უფლებამოსილი პიროვნება თგკს ან ათმ-ს სახელით. ყველა ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს ოფიციალური ბეჭდით. თუ ასოციაციას ან ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭედი, ხელმოწერები დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიუსის მიერ.

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების, აღჭურვილობის ან მომსახურების შესყიდვა ხორციელდება თემის განვითარების კომიტეტის საკუთარი ანგარიშიდან, მაშინ თემის განვითარების კომიტეტმა უნდა მიიღოს იურიდიული სტატუსი და გახსნას საკუთარი ანგარიში ამ კონკრეტული მიზნისთვის, მგფ-ისათვის მისაღებ ბანკში.

KfW-ს ზონის ექვს რაიონში რომელიც მოიცავს 88 ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს, ჩარჩო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს (საკრებულოს თავმჯდომარეს) შორის.

2. შესყიდვა

თემის განვითარების კომიტეტი პასუხისმგებელია შესყიდვებზე, რომელსაც იგი ახორციელებს პასუხისმგებელი ჯგუფის მხარდაჭერით და სპეციალური პროცედურების შესაბამისად, რომელიც მითითებულია შესყიდვების სახელმძღვანელოში (დანართი 3). შესყიდვების საკითხების განხორციელება ხდება ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

3. ხელშეკრულების გაფორმება

თემის განვითარების კომიტეტი მოამზადებს კონტრაქტს სამუშაოს შემსრულებელთან/კონტრაქტორთან პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუშის მიხედვით. ხელშეკრულების ნიმუში წარმოდგენილია შესყიდვების სახელმძღვანელოში.

პასუხისმგებელი ჯგუფი და მგფ-ის იურისტი-კონსულტანტი შეამოწმებს აღნიშნული კონტრაქტის შესაბამისობას ძირითად ხელშეკრულებასთან. რეგიონალური მენეჯერი მისცემს მგფ-ის თანხმობას კონტრაქტის ხელმოწერამდე.

თემის განვითარების კომიტეტსა, კონტრაქტორსა და აღმასრულებელ დირექტორს შორის რეგიონალური მენეჯერის რეკომენდაციის შემდეგ, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ თემის განვითარების კომიტეტი გასცემს ოფიციალური დაწყების მოთხოვნის წერილს. ამით თემის განვითარების კომიტეტი ნებართვას აძლევს კონტრაქტორს ოფიციალურად აწარმოოს სამუშაოები მიკროპროექტზე. აგრეთვე მიუთითებს მიკროპროექტის განხორციელების ოფიციალური დაწყების თარიღს. აღნიშნული წერილი გაიცემა მხოლოდ ადგილობრივ ზედამხედველთან კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ. კონტრაქტის ხელმოწერის შესაბამისი ინფორმაცია იქნება გავრცელებული საჯაროობის მიზნით.

4. ზედამხედველობა

მიკროპროექტის ზედამხედველობა განხორციელების პროცესში უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად, რათა:

- უზრუნველყოფილ იყოს მგფ-ის მიერ გამოყოფილი მიზნობრივი თანხების ეკონომიურად, ეფექტურად და ხარისხიანად ხარჯვა;
- შესაძლებელი გახდეს განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გამოვლენა და მათი დროული გადაჭრა;
- ისეთი ინფორმაციის/მონაცემების მოპოვება, რომლის გამოყენებასაც მგფ შესძლებს თავისი პოლიტიკის და მართვის გასაუმჯობესებლად.

სამუშაოთა ზედამხედველობას (ინფრასტრუქტურის პროექტებზე) ჩაატარებს:

- მგფ-ის პასუხისმგებელი ჯგუფი;
- თემის განვითარების კომიტეტის მიერ დაქირავებული ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველი (“ადგილობრივი ზედამხედველი”);
- თემის განვითარების კომიტეტი, რომელიც ჩაატარებს საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ხარისხის მეორე დონის მონიტორინგს და კონტრაქტორის ან კონსულტანტის მიერ გაწეული სამუშაოს ზედამხედველობას.

თემისა და ინსტიტუციურ განვითარებაზე ზედამხედველობას ატარებს პასუხისმგებელი ჯგუფი და ფოკუსირებას ახდენს ადგილობრივ შედეგებზე.

მგფ-ის მიერ გაწეული ზედამხედველობა. მგფ-ში პასუხისმგებელი ჯგუფი ვალდებულია განახორციელოს მიკროპროექტების განხორციელების ზედამხედველობა. პასუხისმგებელი ჯგუფი გაუწევს მონიტორინგს და წარმოადგენს ანგარიშებს შემდეგ საკითხებზე:

- მიკროპროექტების განხორციელების პროცესის შესახებ;
- პროექტში ან გეგმებში განხორციელებულ ცვლილებებზე, და აღნიშნული ცვლილებების გამომწვევ მიზეზებზე;
- გადადგმულ ნაბიჯებზე ან შემოთავაზებებზე, თუ როგორ უნდა მოერგოს მიკროპროექტი დადგენილ ვადებს და პროექტს, ან როგორ უნდა შეიცვალოს ისე, რომ დააკმაყოფილოს შეცვლილი გარემოება;
- პროექტის ათვისებული თანხების შესახებ.

პასუხისმგებელი ჯგუფი განახორციელებს ზედამხედველობას:

- ოფისში ზედამხედველობა (მათ შორის მიკროპროექტების მიმდინარეობის ანგარიშის განხილვით); და
- განახორციელებს დაგეგმილ მონიტორინგებს, მიკროპროექტის მიმდინარეობის შესასწავლად, კონტრაქტორის მიერ გაწეული საქმიანობის ზოგად შემოწმებას და გასცემს მოთხოვნებს თანხების ანაზღაურების შესახებ; აღნიშნული ზედამხედველობა, როგორც წესი, ხორციელდება არანაკლებ თვეში ორჯერ.

ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობა. ყველა მიკროპროექტს უნდა ჰყავდეს ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველი. იმ შემთხვევაში, სადაც ცალკე, დეტალური საპროექტო სამუშაოა ჩასატარებელი, ‘დეტალური პროექტის კონტრაქტორი’ უნდა იქნას დაქირავებული ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის გასაწევად. სხვა შემთხვევაში (მოკლე ვადიანი მნიშვნელოვანი ან "დეფექტური აქტის" პროექტები არ მოითხოვს მნიშვნელოვან სამშენებლო მონაწილეობას) თემის განვითარების კომიტეტი დაიქირავებს ადგილობრივ ზედამხედველს ძირითად ხელშეკრულებაში მითითებული ტექნიკური დავალების შესაბამისად. სულ მცირე სამი კვალიფიციური კანდიდატი უნდა იქნას გამოკითხული აღნიშნულ თანმდებებაზე შესარჩევად. ადგილობრივ ზედამხედველს უნდა ჰქონდეს მიკროპროექტთან დაკავშირებული შესაბამისი ტექნიკური განათლება და არანაკლებ სამი წელი სამუშაო გამოცდილება. ადგილობრივ ზედამხედველს ხელფასს გადაუხდინან მის კონტრაქტში მითითებულ პროცენტურებისა და პირობების შესაბამისად. პასუხისმგებელი

ჯგუფი გადაამოწმებს ზედამხედველის კვალიფიკაციას და შეამოწმებს, განხორციელდა თუ არა მისი შერჩევა/დაქირავება ჩარჩო ხელშეკრულებაში მითითებული პირობების მიხედვით. რეგიონალური მენეჯერი გასცემს სსიფ-ის თანხმობას ადგილობრივი ზედამხედველის დაქირავების შესახებ. ხელშეკრულების ნიმუში თანდართულია დანართში №3. ხელშეკრულება ძალაშია მიკროპროექტის განხორციელების პროცესში 'წინასწარი მიღება-ჩაბარების' ხელმოწერამდე.

ადგილობრივი ზედამხედველი პასუხისმგებელია მიმდინარე სამუშაოების ყოველდღიურ ზედამხედველობაზე. იგი ანგარიშს აბარებს თემის განვითარების კომიტეტს და მოქმედებს მიკროპროექტის ზედამხედველობის პროცედურებისა და დოკუმენტების (იხ. დანართი №4) პროცედურების თანახმად. ადგილობრივი ზედამხედველის მოვალეობაში შედის:

- ყოველდღიური ზედამხედველობა გაუწიოს სამუშაოებს და აწარმოოს ჩანაწერები ობიექტის სარეგისტრაციო ჟურნალში;
- შეავსოს და მოამზადოს საჭირო დოკუმენტები თემის განვითარების კომიტეტისა და პასუხისმგებელი ჯგუფისათვის ანგარიშის წარსადგენად, ობიექტის ვიზიტის დროს;
- კონტრაქტორთან ერთად გამოავლინოს პრობლემები და გააცნოს ისინი თემის განვითარების კომიტეტსა და პასუხისმგებელ ჯგუფს;
- კონტრაქტორისაგან მოაგროვოს და შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ანგარიშები (იხ. დანართი №4-);

შესრულებული სამუშაოს ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შესრულებული სამუშაოების საერთო რაოდენობა და მისი რაოდენობა შესრულებული სამუშაოების უკანასკნელი ანგარიშის ჩაბარების შემდეგ, რომელშიც ასახული იქნება ცვლილებების მოთხოვნები;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შემდეგ დასრულებული სამუშაოების რაოდენობა.

ადგილობრივ ზედამხედველთან ხელშეკრულების დასრულების შემდეგ პასუხისმგებელი ჯგუფი შეაფასებს ადგილობრივი ზედამხედველის ჩანაწერებს სამუშაოებთან დაკავშირებით და განსაზღვრავს, რამდენად დააკმაყოფილა მან ხელშეკრულების პირობები. პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ ადგილობრივი ზედამხედველის შეფასების მაჩვენებელი შევა მგფ-ის მონაცემთა ბაზაში.

ათმ-ს ან თგკ-ს მიერ განხორციელებული ზედამხედველობა. თემის განვითარების კომიტეტი ახორციელებს მიკროპროექტის განხორციელების პროცესის მეორე დონის მონიტორინგს ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისად.

საზედამხედველო მონიტორინგი

ყოველი საზედამხედველო მონიტორინგის წინ პასუხისმგებელი ჯგუფი მოამზადებს "ზედამხედველობაზე ნებართვის გაცემის ფორმას" (იხ. დანართი №4), რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია მივლინების მიზნის და კონკრეტული საქმიანობის შესახებ. რეგიონალური მენეჯერი განიხილავს შევსებულ "ზედამხედველობის ფორმას" და მივლინების თანხმობის შემთხვევაში დაადასტურებს ხელმოწერით, სათანადო გრაფაში. თანხმობის მიღების შემდეგ პასუხისმგებელი ჯგუფი დაუკავშირდება ადგილობრივ ზედამხედველს, კონტრაქტორს და თემის განვითარების კომიტეტს და წინასწარ მიაწოდებს მივლინების შესახებ ინფორმაციას, კერძოდ:

- შემოთავაზებული მივლინების თარიღს;
- პირებს ვისთანაც სურთ შეხვედრა;
- განსახილველი საკითხების ნუსხას;
- წარმოსადგენი ინფორმაცია, ანგარიშები და დოკუმენტები; და

- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც საჭიროებს წინასწარ დაგეგმვასა და მომზადებას.

წინასწარი საზედამხედველო მონიტორინგი. ჩვეულებრივ, წინასწარი საზედამხედველო მონიტორინგი ეწყობა კონტრაქტის ხელმოწერის და ადგილობრივი ზედამხედველის დანიშვნის შემდეგ. წინასწარ მონიტორინგს ექნება შეხვედრის ფორმა (სასურველია განხორციელდეს საპროექტო ზონაში), რომლის დროსაც პასუხისმგებელი ჯგუფი განხორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბება კონტრაქტორთან, თემის განვითარების კომიტეტთან და ადგილობრივ ზედამხედველთან;
- ყველა გადაუჭრელი პრობლემის გამორკვევა;
- პროექტის ფარგლებში თანამშრომელთა დაქირავების, შესყიდვების და თანხების ათვისების პროცედურების განხილვა და ახსნა-განმარტება;
- მგფ-ის მოთხოვნების განხილვა და ახსნა-განმარტება ანგარიშების წარდგენის თაობაზე და მგფ-ის ანგარიშის ფორმატის მიწოდება;
- პროექტის კალენდარული გეგმის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში მისი შეცვლა. ამ ეტაპზე, თუ თემის განვითარების კომიტეტი ან კონტრაქტორი გამოავლენს რომ რომელიმე ვალდებულებამ შესაძლოა გამოიწვიოს რაიმე პრობლემა, მაშინ აღნიშნული საკითხი უნდა იქნას განხილული და სათანადო ზომები გატარებული მათ აღმოსაფხვრელად;
- მომდევნო საზედამხედველო მივლინების განრიგის განხილვა;
- თემის წვლილის ოდენობისა და სახეობის შემოწმება.

წინასწარი ვიზიტის შემდეგ პასუხისმგებელი ჯგუფი ოფისში დაბრუნებისთანავე მოამზადებს მონიტორინგის ანგარიშს. ანგარიშში უნდა იქნას აღნიშნული მონიტორინგის დროს განხილული ყველა საკითხი. ანგარიშის შინაარსმა შეიძლება მიიღოს პირველი საველე შეხვედრის ოქმის ფორმა.

რეგულარული საზედამხედველო მონიტორინგი. რეგულარული საზედამხედველო მონიტორინგი უნდა ჩატარდეს მინიმუმ თვეში ორჯერ. აღნიშნული მონიტორინგის დროს პასუხისმგებელი ჯგუფი შეხვდება თემის განვითარების კომიტეტს, კონტრაქტორს, ადგილობრივ ზედამხედველს და თემის წევრებს და მათთან ერთად განიხილავს მიკროპროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს.

აღნიშნული მონიტორინგები მიზნად ისახავს:

- სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისა და ხარისხის შემოწმებას;
- ადგილობრივი ზედამხედველის დოკუმენტების შემოწმებას;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშების (დანართი №4) ხელმოწერას ადგილობრივ ზედამხედველთან და თემის განვითარების კომიტეტთან ერთად;
- თემის განვითარების კომიტეტისა და კონტრაქტორის წინაშე მდგარი ტექნიკური, მენეჯმენტისა და სხვა პრობლემების განსაზღვრას და მათი გადაჭრის გზების გამოვლენას; და
- ქვემოთ მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით თანხმობის მიცემას ცვლილების მოთხოვნებზე;

პასუხისმგებელი ჯგუფი ობიექტზე ჩაიტანს შემდეგ დოკუმენტებს:

- ძირითადი ხელშეკრულებისა და კონტრაქტის ასლებს;
- წინა შესრულებული სამუშაოების ანგარიშების ასლებს;
- შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შეუვსებელ ფორმებს;
- წინა მივლინების ანგარიშის ასლს ფოტომასალასთან ერთად;
- გადახდის მოთხოვნის შეუვსებელ ფორმას; და

- ცვლილების მოთხოვნის შეუვსებელ ფორმას.

ობიექტზე ჩასვლისას პასუხისმგებელი ჯგუფი პირველ რიგში შეამოწმებს ადგილობრივი ზედამხედველის ჟურნალს. პასუხისმგებელი ჯგუფი ნებისმიერი შერჩევის წესით განიხილავს რამოდენიმე საშუალოს ჩამონათვალს კალენდარული გეგმიდან და ადგილზე შეამოწმებს: (1) შეესაბამება თუ არა შესრულებული სამუშაო ტექნიკურ სპეციფიკაციებს, (2) რამდენად ზუსტია ადგილობრივი ზედამხედველისა და კონტრაქტორის ანგარიშები სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ. თუ ანგარიშებში უზუსტობაა დაშვებული, პასუხისმგებელი ჯგუფი თავის და ადგილობრივი ზედამხედველის სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს მათ შესახებ და აღნიშნულ ინფორმაციას წერილობით მიაწვდის თემის განვითარების კომიტეტს. თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან განსხვავებას, მაშინ პასუხისმგებელი ჯგუფს შეუძლია ჩაატაროს შემდგომი შემოწმება ან გასცეს სამშენებლო სამუშაოების შეჩერების ბრძანება. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა თემის განვითარების კომიტეტის თავჯდომარის წერილობითი თანხმობა. პასუხისმგებელი ჯგუფი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ რეგიონალურ მენეჯერს.

პასუხისმგებელი ჯგუფი გადაიღებს მგფ-ში წარსადგენი ანგარიშისათვის საჭირო ფოტო მასალებს ობიექტის შესახებ.

კონტრაქტორი პასუხისმგებელ ჯგუფს ობიექტზე ყოფნის დროს წარუდგენს დასამტკიცებლად და ხელმოსაწერად შესრულებული სამუშაოების ანგარიშს. კონტრაქტორი მოამზადებს შესრულებული სამუშაოების ანგარიშს ადგილობრივ ზედამხედველთან ერთად. თემის განვითარების კომიტეტის თავჯდომარე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ხელს აწერს შესრულებული სამუშაოების ანგარიშს, რითიც ადასტურებს, რომ სამუშაოები დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. თუ პასუხისმგებელი ჯგუფი კმაყოფილია ყველა შესრულებული სამუშაოთი და ადგილობრივი ზედამხედველის სარეგისტრაციო ჟურნალში ჩაწერილი ინფორმაცია შეესაბამება ობიექტზე რეალურად განხორციელებულ სამუშაოებს, მაშინ პასუხისმგებელი ჯგუფი ხელს მოაწერს შესრულებული სამუშაოების ანგარიშს.

ამის შემდეგ, თემის განვითარების კომიტეტი შესრულებული სამუშაოების ანგარიშზე დაყრდნობით (დადასტურებული საიდენტიფიკაციო ნიშნით) წარუდგენს საგადასახადო დავალებას მგფ-ის ფინანსურ სამმართველოს. თუ ობიექტი თბილისიდან დაშორებულია, თემის განვითარების კომიტეტს შეუძლია საგადასახადო დავალება გადასცეს პასუხისმგებელ ჯგუფს, რომელიც გადასცემს მას რეგიონალურ მენეჯერს, რომელიც შეამოწმებს საგადასახადო დავალებას და გადასცემს ფინანსურ სამმართველოს. ბუღალტერი შეამოწმებს საგადასახადო დავალებას და თანხმობის შემთხვევაში მოამზადებს საგადასახადო დავალებას ბრძანებას ფინანსური სამმართველოს ხელმოსაწერად. KfW-ს ზონის შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მიხედვით საგადასახადო დავალებას ხელი უნდა მოაწეროს საერთაშორისო კონსულტანტის (GOPA კონსულტანტი) პროექტის მენეჯერმა ან მისმა მოადგილემ.

ფინანსური სამმართველოს უფროსი ხელს მოაწერს საგადასახადო დავალებას ბრძანებას და ხელმოსაწერად გადასცემს აღმასრულებელ დირექტორს. ამის შემდეგ გადახდის საგადასახადო დავალება გაეგზავნება კონტრაქტორს. გადახდა მოხდება კონტრაქტორის საბანკო ანგარიშზე ფინანსური და ადმინისტრაციული განყოფილების მიერ საგადასახადო დავალებას მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

ოფისში დაბრუნებისთანავე პასუხისმგებელი ჯგუფი მოამზადებს ანგარიშს, სადაც დეტალურად იქნება განხილული შემდეგი საკითხები:

- მიკროპროექტის განხორციელების ძირითადი ასპექტები;
- მონიტორინგებს შორის განხორციელებული საქმიანობა;
- წამოჭრილი პრობლემები და სირთულეები;
- დღემდე განხორციელებული საქმიანობა;
- მომავალში განსახორციელებელი საქმიანობა.

საზედამხედველო ანგარიშში ასევე შევა ინფორმაცია ინვესტირებული ხარჯების შესახებ; განახლებული მიკროპროექტების განხორციელების კალენდარული გრაფიკი; სათანადო მონიტორინგის ინდიკატორები; და კონსულტანტების საქმიანობის შეფასება.

საგანგებო საზედამხედველო მონიტორინგი. საგანგებო საზედამხედველო მონიტორინგები შეიძლება მოწყობილ იქნას თემის განვითარების კომიტეტის, კონტრაქტორის ან ადგილობრივი ზედამხედველის მოთხოვნის საფუძველზე; მიკროპროექტის განხორციელების ანგარიშიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე; ან განხორციელების პროცესში წარმოქმნილი რაიმე პრობლემის განხილვის და მათი გადაჭრის მიზნით.

საგანგებო საზედამხედველო მონიტორინგების შემდეგ, ოფისში დაბრუნებისთანავე უნდა მომზადდეს მივლინების ანგარიში. ანგარიშში მითითებულ უნდა იქნას მონიტორინგის მიზეზები, განხორციელებული საქმიანობა საპროექტო ზონაში და ნებისმიერი დამატებითი საქმიანობა, რომელიც განხორციელებულ იქნა პროექტის მიმდინარეობის ხელშესაწყობად.

ყველა საზედამხედველო ანგარიშები უნდა მომზადდეს და გადაეცეს რეგიონალურ მენეჯერს მივლინების დასრულებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. რეგიონალური მენეჯერი განიხილავს ანგარიშებს, მისცემს ან არ მისცემს თანხმობას შემოთავაზებული საქმიანობების ჩასატარებლად, ხელს მოაწერს სათანადო ადგილას და გადასცემს ანგარიშებს აღმასრულებელ დირექტორს და სხვა შესაბამის მენეჯერს.

კონსულტანტების მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი

იმ არა-სამთავრობო ორგანიზაციების, კერძო კომპანიების ან ინდივიდუალური პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობას, იმისათვის რომ ჩაატარონ სწავლება თემებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური განვითარების მიზნით და ასევე, მიკროპროექტების მიმდინარეობის მონიტორინგის ჩასატარებლად, მინორტორინგს გაუწევს პასუხისმგებელი ჯგუფი მგფ-თან ან თემის განვითარების კომიტეტთან დადებული კონტრაქტის პირობების საფუძველზე. კერძოდ, პასუხისმგებელი ჯგუფი:

- შეამოწმებს, ახორციელებს თუ არა კონსულტანტი თავის უფლება-მოვალეობებს და წარადგენს ანგარიშებს ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად;
- შეაფასებს კონსულტანტების მიერ განხორციელებულ საქმიანობას საზედამხედველო მივლინების დროს;
- დავალების ან მიკროპროექტის დასრულების შემდეგ ჩაატარებს კონსულტანტის საქმიანობის შეფასებას. საქმიანობის შეფასების საფუძველზე გამოვლინდება კონსულტანტის მონაწილეობის მიღების პერსპექტივა მგფ-ის მომავალ საქმიანობებში.

თემის წვლილის ზედამხედველობა. პასუხისმგებელი ჯგუფი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს თემის წვლილის მობილიზაციას "შეფასების ანგარიშის" მიხედვით. იქ სადაც თემის წვლილი წარმოდგენილ უნდა იქნას ნატურით, პასუხისმგებელმა ჯგუფმა უნდა შეაფასოს წვლილის ოდენობა მგფ-ის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით. პასუხისმგებელმა ჯგუფმა ასევე უნდა შეამოწმოს ჩადებული თუ არა თემის წვლილი ადგილობრივი ზედამხედველის მიერ მომზადებულ საინვესტიციო ანგარიშში. მივლინების დროს პასუხისმგებელმა ჯგუფმა უნდა გადაამოწმოს ანგარიშში მითითებული შედეგები.

პრობლემატური მიკროპროექტების კლასიფიკაცია

ზედამხედველობის პროცესში პასუხისმგებელი ჯგუფი ვალდებულია გამოავლინოს და შეატყობინოს მგფ-ის მენეჯმენტს ისეთი პროექტების არსებობა, რომლებიც

კლასიფიცირებულნი იქნებიან როგორც “პრობლემატური მიკროპროექტები” და საჭიროებენ გადაუდებელ ყურადღებას. პრობლემატურად შეიძლება ჩაითვალოს მიკროპროექტი თუ:

- მიკროპროექტის განხორციელება დაგვიანებულია ისე, რომ ეჭვქვეშ აყენებს მიკროპროექტის მიზნების მიღწევას;
- მიკროპროექტის ღირებულება საგრძნობლად აჭარბებს დასაშვებ ოდენობას და ეჭვქვეშ აყენებს მის ფინანსურ/ეკონომიურ სიცოცხლისუნარიანობას;
- მიკროპროექტის განხორციელების პროცესში მუდმივად იჩენს თავს ტექნიკური პრობლემები;
- აღმასრულებელმა უწყებამ გამოავლინა სუსტი ან არა-ეფექტური მენეჯერული უნარ-ჩვევები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მიკროპროექტის სიცოცხლისუნარიანობას;
- გარე ფაქტორებმა იმოქმედა მიკროპროექტის განხორციელების პროცესზე და საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლისუნარიანობას.

მიკროპროექტი მიჩნეულია არაპრობლემატურად იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელების პროცესში არ დაფიქსირდება რაიმე მნიშვნელოვანი სირთულე. პრობლემატური მიკროპროექტები ყურადღებით უნდა იქნას განხილული რეგიონალური მენეჯერის და პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ, იმისათვის რომ მიიღონ სათანადო ზომები მიკროპროექტის პრობლემიდან გამოსაყვანად. აღნიშნული ზომები შეიძლება იყოს:

1. **მიკროპროექტის ხელახლა შეფასება.** სადაც ადგილი აქვს მიკროპროექტის ღირებულების ან მოცულობების საგრძნობ გაზრდას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მისი ამოცანების სიცოცხლისუნარიანობაზე, პასუხისმგებელმა ჯგუფმა უნდა გაუწიოს რეკომენდაცია რეგიონალურ მენეჯერს მიკროპროექტის ხელახალი შეფასების თაობაზე. რეგიონალური მენეჯერი მიიღებს გადაწყვეტილებას ხელახალ შეფასებაზე და თანხმობის შემთხვევაში მიკროპროექტი თავიდან იქნება შეფასებული.
2. **მიკროპროექტის განხორციელების გაუქმება.** მიკროპროექტის განხორციელება შეიძლება შეწყდეს თემის განვითარების კომიტეტის და/ან პასუხისმგებელი ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ეს უკანასკნელი მიიჩნევს რომ მიკროპროექტის გარშემო შექმნილი ვითარება ხდის მის განხორციელებას არასაჭიროდ და არა სიცოცხლისუნარიანს. დასაბუთების შემდეგ, რეკომენდაცია, მიკროპროექტის განხორციელების გაუქმებაზე, უნდა მოამზადოს და ხელი მოაწეროს პასუხისმგებელმა ჯგუფმა და ადგილობრივმა ზედამხედველმა, და რეგიონალური მენეჯერის განხილვის შემდეგ გადაეცეს აღმასრულებელ დირექტორს. ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი ის პრობლემები და მიზეზები რის გამოც გაკეთდა რეკომენდაცია მიკროპროექტის გაუქმებაზე.

5. ცვლილების მოთხოვნა

სარეაბილიტაციო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა საწყის კონტრაქტში. თუ კონტრაქტორს ესაჭიროება ცვლილების გატარება, იგი წერილობითი ფორმით მოამზადებს მოთხოვნას ცვლილებების შესახებ და თანხმობის მისაღებად გადასცემს ადგილობრივ ზედამხედველსა და თემის განვითარების კომიტეტს. რომ არ შეფერხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების ტემპი, პასუხისმგებელ ჯგუფს უფლება აქვს თანხმობა მისცეს ცვლილების მოთხოვნაზე, თუ ეს ცვლილება მთლიანობაში არ აღემატება კონტრაქტის საწყისი ღირებულების 3%-ს. იმ შემთხვევაში თუ ცვლილების მოთხოვნა კონტრაქტის ღირებულებას ზრდის 3%-იდან 15 %-მდე, მაშინ პასუხისმგებელი ჯგუფი განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნას ადგილზე, რის შედეგადაც რეკომენდაციას მოამზადებს და წარუდგენს აღმასრულებელ დირექტორს თანხმობის მისაღებად. ცვლილების მოთხოვნა, რომელიც კონტრაქტის საწყის ღირებულებას 15%-ზე მეტად ზრდის, თანხმობის მისაღებად უნდა გაეგზავნოს მსოფლიო ბანკს.

KfW-ს ზონაში სამშენებლო ცვლილებები მიკრო პროექტის სამშენებლო კონტრაქტის ღირებულების 3%-ის ზემოთ უნდა შეთანხმდეს KfW-ს საერთაშორისო კონსულტანტთან და მის მიერვე უნდა იქნას ხელმოწერილი (დანართი 7).

ყოველ კვარტალურად უნდა მომზადდეს ანგარიში ყველა იმ შემთხვევაზე სადაც ცვლილებების მოთხოვნა იწვევს პროექტის საკონტრაქტო ფასის მომატებას და უნდა წარედგინოს აღმასრულებელ დირექტორს.

6. მიკროპროექტის დასრულება

პროექტის დასრულების ეტაპი მოიცავს სამუშაოთა დასრულების შესახებ დასტურის, საბოლოო გადახდის და პროექტის დასრულების ანგარიშის მომზადებას. პროექტის დასრულების ანგარიში, რომელიც უნდა მომზადდეს მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, შეაფასებს კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, პროექტის მიმდინარეობის ვადებს და ხარჯებს. აღნიშნული ინფორმაცია თანდართული იქნება მომდევნო პროექტის დაგეგმვის და განხორციელების საქმიანობაში.

მიღება-ჩაბარება და სერთიფიკატის გაცემა. სამშენებლო საქმიანობის დასრულების შემდეგ, დასრულების და მიღება-ჩაბარების შეხვედრა მოეწეობა თითოეული მიკროპროექტზე. ჩამოყალიბდება მიღება-ჩაბარების კომიტეტი, რომელშიც შევა:

- მიკროპროექტის პასუხისმგებელი ჯგუფი;
- თემის განვითარების კომიტეტის წარმომადგენელი;
- ადგილობრივი ზედამხედველი;
- კონტრაქტორის მიერ უფლებამოსილი პირი;
- მომხმარებელი თემიდან არანაკლებ ორი წარმომადგენელი;
- იმ უწყების წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ობიექტის მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციაზე მიკროპროექტის დამთავრების შემდეგ.

მიღება-ჩაბარების კომიტეტის წევრები შეიკრიბებიან ობიექტზე, შეამოწმებენ შესრულებული სამუშაოების რაოდენობასა და ხარისხს და გამოიტანენ გადაწყვეტილებას სამუშაოების დამაკმაყოფილებლად შესრულებაზე. წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ორ შემთხვევას:

- თუ მიღება-ჩაბარების კომიტეტი გადაწყვეტს, რომ სამუშაოები დასრულებულია და ხარისხი აკმაყოფილებს ყველა მხარეს და კონტრაქტის პირობებს, წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მოეწერება ყოველგვარი შენიშვნების გარეშე (იხ. დანართი №4). წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან იწყება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.
- თუ მიღება-ჩაბარების კომიტეტი მიიჩნევს, რომ ზოგი სამუშაო საჭიროებს დასრულებას ან შესწორებას, სამუშაოს შემსრულებელს გადაეცემა წერილობითი სახის რეკომენდაციები და დაინიშნება შემდგომი წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი. ამ დღეს კომიტეტი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და შეამოწმებს, რომ ყველა ნაკლი გასწორებულია. თუ მიკროპროექტი დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, ხელი მოეწერება წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტს.

წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ თემის განვითარების კომიტეტი წარუდგენს პასუხისმგებელ ჯგუფს გადახდის საბოლოო მოთხოვნას, რომელიც მას მისცემს მსვლელობას მიკროპროექტის გადახდის პროცედურების მიხედვით.

დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი წარმოადგენს დროს სამუშაოთა დასრულების სერთიფიკატის გაცემის დღიდან სამშენებლო კონტრაქტში მითითებულ პერიოდს შორის. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი დამოკიდებულია მიკროპროექტის სიდიდეზე, ტიპოლოგიაზე და სამშენებლო კონტრაქტში მითითებულ განხორციელების პერიოდზე (არა

ნაკლებ 6 თვე). თუ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში განხორციელებული სამუშაოები მიჩნეულ იქნა დამაკმაყოფილებლად დაკავებული თანხა შეიძლება გადაეხადოს კონტრაქტორს დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემისას. ამ შემთხვევაში, კონტრაქტორი და თემის განვითარების კომიტეტი მგფ-საგან მიიღებენ სერთიფიკატს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმატებით დასრულებისა და ხარისხის ვარგისიანობის შესახებ (იხ. დანართი №4).

სერთიფიკატის გაცემით მთავრდება მიკროპროექტის განხორციელების პროცესი. ამ მომენტიდან პასუხისმგებლობა აღდგენილი ობიექტის მუშაობაზე, ექსპლუატაციაზე, სარემონტო ხარჯებზე, როგორც ეს მოცემულია ძირითად ხელშეკრულებაში, გადადის ადგილობრივ ხელისუფლებაზე, თემსა და ადგილობრივი ორგანიზაციებზე.

KfW-ს ზონაში ყველა მიკრო პროექტის წინასწარი მიღება-ჩაბარების ანგარიშების მიღება და ერთობლივად ხელმოწერა ხდება KfW-ს საერთაშორისო კონსულტანტის მიერ (GOPA-ს კონსულტანტები). იხ. დანართი 7, თავი 4.

ანგარიში მიკროპროექტი დასრულების შესახებ. მიკროპროექტის წარმატებულად განხორციელების და მიღება-ჩაბარების თაობაზე პასუხისმგებელი ჯგუფი ამზადებს ანგარიშს მიკროპროექტის დასრულების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს თემის განვითარების კომიტეტი/ადგილობრივი თვითმმართველობაც.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი საპროექტო ორგანიზაციის მიერ იქნა მომზადებული, მაშინ აღნიშნულმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინონ ანგარიში, სადაც დაადასტურებენ, რომ დასრულებული სამუშაოები განხორციელდა მის მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად.

7. ფუნქციონირება და მოვლა-პატრონობა

მიკროპროექტის დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში თემის განვითარების კომიტეტი/ადგილობრივი თვითმმართველობა ექვს თვეში ერთხელ მგფ-ისათვის წარსადგენად მოამზადებს ანგარიშს მის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან თანდართული მდგრადობის გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც შევა ობიექტის წლიური შემოსავლები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები. მგფ გაგზავნის პასუხისმგებელ ჯგუფს ინფორმაციის შესამოწმებლად და ობიექტის მდგრადი განვითარების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად.

მგფ-ის პასუხისმგებელი ჯგუფი ყოველ ექვს თვეში ერთხელ ჩაატარებს მიკროპროექტის და თემის სოციალურ-ტექნიკურ მონიტორინგს, რომელიც ჩაუტარდება მონაწილე თემებს არანაკლებ 100%-ს, მიკროპროექტის დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში.

KfW-ს ზონაში მოვლა-პატრონობისთვის თანხების გამოყოფა მიკრო პროექტის უშუალო ღირებულების 5%-ის სახით ხორციელდება კონკრეტული პროცედურების შესაბამისად, რაც ასახულია დანართში 7, თავი 7.

2.6. მონიტორინგი და შეფასება

მართვის საინფორმაციო სისტემა. მგფ-ის საქმიანობის მონიტორინგი და ზეგავლენის შეფასება განხორციელდება კომპიუტერიზირებული მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, ხოლო პერიოდულად მგფ-ის საქმიანობის ზეგავლენის შეფასებას განხორციელებენ დაქირავებული კონსულტანტები.

მართვის საინფორმაციო სისტემა მონიტორინგს გაუწევს მიკროპროექტის ციკლს და მგფ-ის მიერ განხორციელებულ საქმიანობას პროგრამის მიზნებთან მიმართებაში. მართვის საინფორმაციო სისტემის კომპონენტებია:

- ა. მიკროპროექტების მონაცემთა ბაზა, რომელიც საშუალებას მისცემს მფ-ის მენეჯმენტს და თანამშრომლებს თვალყური ადევნონ მიკროპროექტის განხორციელებას მიკროპროექტის ციკლის ყველა ეტაპზე და გაანალიზონ მფ-ის როლი მისი ამოცანებისა და სიღარიბის დაძლევის საკითხებთან მიმართებაში;
- ბ. ბიუჯეტის და ზედამხედველობის კონტროლის სისტემა, რომელიც გააადვილებს მიკროპროექტის ბიუჯეტის, ხარჯების მიმოქცევის და ობიექტის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებას; და
- გ. ფინანსური და საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც სხვა სისტემებს მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია, იმისათვის რომ ნათლად ჩანდეს ობიექტის სრული ფინანსური მონაცემები, და საშუალებას მისცემს ხარჯების შედარებას მიზნობრიობასთან მიმართებაში.

მართვის საინფორმაციო სისტემა შეიმუშავებს ანგარიშებს ინდიკატორების შესახებ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს შეაფასოს მფ-ის მიერ შესრულებული საქმიანობა. აღნიშნული ინდიკატორები მოყვანილია დანართში №5.

KfW-ს კრედიტით ფინანსირებულ რაიონებში (ზონა "ა") მიკრო პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი და შეფასება აისახება KfW-ს საერთაშორისო კონსულტანტის მიერ შემუშავებული შესრულების კრიტერიუმით (იხ. დანართი 7, თავი 5).

მფ-ის ტექნიკური შეფასება. მიკროპროექტის დამთავრებიდან და საბოლოო მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან ორი-სამი თვის შემდეგ მფ ჩაატარებს ობიექტის ტექნიკურ შეფასებას. ტექნიკური შეფასება განსაზღვრავს ობიექტის მდგომარეობას და მის მდგრადობას მიკროპროექტის დასრულებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ. ობიექტის ტექნიკური შესწავლა გამოიყენება ობიექტის შეფასებისათვის და საზედამხედველო პროცედურების სრულყოფილისათვის, განსაკუთრებით ნორმების, სტანდარტების, სპეციფიკაციებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით.

ობიექტზე გავლენის შეფასების საგანგებო გამოკვლევა

მომხმარებლებზე ობიექტის ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს მიკროპროექტის მონიტორინგისა და შეფასების განუყოფელ ნაწილს. ობიექტის ზეგავლენის შეფასების გამოკვლევა ხელს შეუწყობს მიკროპროექტის მთელი ციკლის გაუმჯობესებას: შერჩევას, შეფასებას, დამტკიცებას, თემის განვითარების კომიტეტისა და კონტრაქტორის შერჩევას, ზედამხედველობის მეთოდების შემუშავებას და ა.შ.

საგანგებო ჯგუფთან გაფორმდება ხელშეკრულება, რომელიც გამოიკვლევს ობიექტის ზეგავლენას იმ რეგიონებში, სადაც უკვე დასრულდა მიკროპროექტები.

ობიექტის ზეგავლენის შეფასების შესწავლა გაგრძელდება მფ-ის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში და ჩატარდება დასრულებული მიკროპროექტების 10%-ის გამოკვლევა. გამოსაკვლევი მიკროპროექტები შეირჩევა რეგიონებისა და მიკროპროექტების ტიპოლოგიის გათვალისწინებით.

მფ-ის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, აღმასრულებელი დირექტორი განსაზღვრავს, თუ რომელ რეგიონებში უნდა ჩატარდეს ობიექტის გავლენის შეფასების შესწავლა.

უფროსი სოციოლოგი და შესყიდვების უფროსი სპეციალისტი პასუხისმგებელი იქნება ობიექტის ზეგავლენის შეფასების ტექნიკური დავალების მომზადებაზე (იხ. დანართი №1), ხოლო შესყიდვების უფროსი სპეციალისტი უზრუნველყოფს ზეგავლენის შეფასების შემსწავლელი ჯგუფის შერჩევასა და დაქირავებას.

ზეგავლენის შეფასების შემსწავლელი ჯგუფი შეაფასებს მიკროპროექტის გავლენას ხარისხობრივ და რაოდენობრივ საფუძველზე. მომხმარებელზე ობიექტის გავლენის გამოკვლევა შეისწავლის:

ა. **მომხმარებელთა დაკმაყოფილება.** შეფასდება, რამდენად დააკმაყოფილა თემის მოლოდინი მიკროპროექტმა; მიკროპროექტის დადებითი და უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით ქალებზე, გამოყოფილ ჯგუფებსა და გარემოზე.

ბ. **მომხმარებელთა მონაწილეობა.** შეფასდება თემის წევრების მონაწილეობის დონე მიკროპროექტის იდენტიფიკაციაში, შემუშავებასა და მართვაში. ასევე ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტორებზე, რომლებმაც გაზარდეს ან შეაფერხეს მათი მონაწილეობა.

გ. **ინსტიტუციური გავლენა.** შეფასდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის განვითარების კომიტეტების როლი და პასუხისმგებლობები მიკროპროექტის ციკლში. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ამ ორგანოების საინსტიტუციო უნარების ცვლილებები.

დ. **მიკროპროექტის მდგრადობა.** უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა კავშირი თემის მონაწილეობასა და მიკროპროექტის მდგრადობას შორის და გამოვლინდეს მიკროპროექტის მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორები.

ე. **მეფ-ის საქმიანობის შესრულება.** მომხმარებლის მიერ სსიფ-ის მუშაობის შეფასებით და თემის წევრების წინადადებებით მოხდება სსიფ-ის მუშაობის შეფასებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ვ. **დამატებითი ინფორმაცია KfW-ს ზონასთან დაკავშირებით.** მიკრო პროექტის მოვლა-პატრონობის გეგმის სათანადო განხორციელების მონიტორინგი წარმოადგენს კრიტიკულ საკითხს, რომელსაც მეფ-მა უნდა გაუწიოს ზედამხედველობა. იხ. დანართი 7, თავი 7.1, 7.2.